ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1893543

ნომერი: AR1305099

თარიღი : 27.04.2015

გაცემის თარიღი : 13.05.2015

გაცნობის თარიღი : 13.05.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ონიაშვილი , N 47 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- ოთარ ლორთქიფანიძის 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 24 მარტის N 1797416 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 27 აპრილის AR1305099 განცხადებით მომართეს შ.პ.ს. "საინვესტიციო ჯგუფი პრაღა"-ს დირექტორმა სულხან ხუცაიძემ და ნინო ფარცხალაძემ და მოითხოვეს ამავე სამსახურის 2015 წლის 24 მარტის N 1797416 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2015 წლის 24 მარტის N 1797416 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, ონიაშვილის ქუჩა, №47-ში, შპს. "საინვესტიციო ჯგუფი პრაღა"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.12.033.015), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. ნებართვის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 24 მარტიდან 2016 წლის 24 აგვისტოს ჩათვლით. დამკვეთად დაფიქსირდა შ.პ.ს. "საინვესტიციო ჯგუფი პრაღა".

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ტექნიკური შეცდომის გამო, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში გამორჩენილია ავტოფარეხების ფართი (167 კვ.მ.)რაც შესაბამისად აისახა სამსახურის 2015 წლის 24 მარტის N 1797416 ბრძანებაში განსაზღვრულ საერთო ფართობის მაჩვენებლზეც, სადაც ნაცვლად 1585.1-ისა უნდა ფიქსირდებოდეს 1752.1 კვ.მ.

შესაბამისად, დღესდღეობით განმცხადებლის მოთხოვნას წარმოადგენს 2015 წლის 24 მარტის N1797416 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება და ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებელში ავტოსადგომისა და საერთო ფართობის მაჩვენებლების შემდეგი სახით დაფიქირება:
•ავტოსადგომის ფართობი -167 კვ.მ
•საერთო ფართობი- 1752.1 კვ.მ

სამსახურმა 2015 წლის 27 აპრილის AR1305099 განცხადებით წარმოდგენილი განმარტებითი ბარათი შეადარა, 2015 წლის 24 მარტის N 1797416 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და 2015 წლის 24 მარტის N 1797416 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge